სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს

ც ნ ო ბ ა

24/10/22/24

თქვენი ბრძანება N 6140844 - ის თანახმად, ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.03.039.015) მდებარე სამედიცინო ლაბორატორიის რეკონტრუქციისთვის მშენებლობის ვადა განისაზღვრა 6 თვით, კერძოდ: 2022 წლის 28 სექტემბრიდან 2023 წლის 28 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ჩვენი სამედიცინო ლაბორატორია განსაკუთრებული დატვირთით მუშაობს თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მატულობს მომართვიანობის რაოდენობა და თქვენ მიერ განსაზღვრულ პერიოდში სარემონტო-საკონტრუქციო სამუშაოების ჩატარება გამოიწვევს სამუშაო პროცესის შეფერხებით მუშაობას, რაც უარყოფითად აისახება სამედიცინო ლაბორატორიის იმიჯსა და მომსახურების ხარისხზე.

ამასთან, პროექტით განსაზღვრული სარემონტო-საკონტრუქციო სამუშაოები მოითხოვს სპეციალური ცოდნითა და აღჭურვილობით მომზადებული კადრებს, რისთვისაც ვგეგმავთ ტენდერის გამოცხადებას, რაც თავისთავად გარკვეულ დროს მოითხოვს. შესაბამისად, ამ კუთხითაც მოსალოდნელია თქვენ მიერ განსაზღვრულ ვადებში ვერ განხორციელდეს სამედიცინო ლაბორატორიის დამტკიცებული რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოგმართავთ **მშენებლობის ნებართვის ვადის** გადაწევის მოთხოვნით და თანდართული ფაილის სახით გიგზავნით ჩვენი საჭიროების შესაბამისად გაწერილ კალენდარულ გრაფიკს, ეტაპების შესაბამისი ვადების მითითებით, როგორც ზემო განვმარტეთ, თქვენ მიერ განსაზღვრულ პერიოდში, კერძოდ 2022 წლის 28 სექტემბრიდან 2023 წლის 28 მარტის ჩათვლით არსებულ პერიოდში, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, ამიტომ, ოპტიმალურად მიგვაჩნია, მშენებლობის ეტაპების ვადები განისაზღვროს თანდართული კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

სს ,,მეგა-ლაბის“ დირექტორი

მიხეილ დოლიძე